იენის (გერმანია) უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამა თსუ ბაკალავრიატის III, IV და V სემესტრის სტუდენტებისათვის!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2011/2012 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრზე ფრიდრიჰ–შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სწავლის უფლების მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შემდეგი ფაკულტეტების სტუდენტებს:

- სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო
- ჰუმანიტარული
- იურიდიული
- ეკონომიკისა და ბიზნესის

საჭირო საბუთები:

- ელექტრონულად შევსებული ფორმულარი (2 ეგზემპლარი)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენებზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (სასურველია)
- ორი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4 (გთხოვთ, დააკრათ ფორმულარებს)
- პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
- ბაკალავრიატში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ინფორმაცია მიმღებ უნივერსიტეტში შესაბამისი სასწავლო მიმართულების არსებობის შესახებ *(www.uni-jena.de)*

კონკურსში გამარჯვებულებს იენის უნივერსიტეტი სთავაზობს მომსახურეობის შემდეგ პაკეტს:
ოთახი საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებელში; უფასო სწავლა, კვების ტალონი, დაზღვევა

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 2010 წლის 30 ნოემბერი, 12 საათი

(თსუ II კორპუსი, ოთახი 237, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი, ნანა შეითნიშვილი)
შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე); II ეტაპი – გასაუბრება

შენიშვნა: **დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!**
კონკურსანტები უნდა ფლობდნენ გერმანულ ენას B2 დონეზე.
ტესტირებისა და გასაუბრების თარიღი გამოქვეყნდება თსუ ვებ–გვერდზე.
კონკურსზე არ დაიშვებიან 2010/2011 სასწავლო წლის იენის კონკურსის გამარჯვებულები!

***ფორმულარი იხილეთ თსუ ვებ–გვერდზე.**

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.25 02 12
26.10.2010